15 სექტემბერი 2021

კორონავირუსის შესახებ „დეზინფორმაციასთან ბრძოლის“ საბაბით დაწყებული სამთავრობო ცენზურის პანდემია

დავით ქუტიძე[1]

შესავალი

ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად გამოწვეულმა პანდემიამ[2] თანამედროვე მსოფლიო არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა. პანდემიის შედეგად მიღებულ ზარალზე საუბრისას, უპირველესად აღსანიშნავია მილიონობით გარდაცვლილი ადამიანი და ეკონომიკის გაჩერების შედეგად გამოწვეული კრიზისი. ამ უმწვავესი პრობლემების გარდა, არსებობს საკითხები, რომლებიც ამჟამად, გარკვეულწილად, მეორე პლანზე არიან, თუმცა მათი უგულებელყოფა პერსპექტივაში ძალიან ცუდი შედეგების მომტანია. ერთ-ერთი ასეთი საკითხი ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლების დაცვაა, რადგან სიტყვის თავისუფლება ის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა უფლებების რეალიზაციასთან. სწორედ ის არის საუკეთესო ინსტრუმენტი ინდივიდისთვის, ხმა მიაწვდინოს ფართო საზოგადოებას. სამწუხაროდ, კოვიდ-19 -ის პანდემიის ფონზე, აღნიშნული უფლება მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მკვეთრად შეიზღუდა.

შეიძლება ითქვას, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვამ ერთგვარად ხელიც კი შეუწყო კორონავირუსის ფართო მასშტაბებით გავრცელებას, რადგან რომ არა ჩინეთის კომუნისტური ხელისუფლება, რომელიც ვირუსის თავდაპირველი აფეთქების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მკაცრი ცენზურით პასუხობდა, შესაძლოა, მსოფლიოს პანდემიის თავიდან არიდება მოეხერხებინა[3].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებისთანავე (2020 წლის 11 მარტი), მსოფლიოს ათეულობით სახელმწიფომ გაატარა უკიდურესად მკაცრი ღონისძიებები თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ. საერთაშორისო უფლებათდამცველი ორგანიზაცია Human Rights Watch -ის თანახმად[4], არაერთ ქვეყანაში დაფიქსირდა ჟურნალისტების დაპატიმრებისა და მათზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები; გააქტიურდა ტრადიციული და სოციალური მედიის ცენზურა; სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს აეკრძალათ ვირუსის და მასზე მთავრობების რეაგირების შესახებ თავისუფლად საუბრის საშუალება; შემოღებულ იქნა სხვადასხვა შემზღუდავი საკანონმდებლო ნორმები დამოუკიდებელი წყაროების გასაჩუმებლად და ა.შ. სიტყვის თავისუფლების ამა თუ იმ ფორმით შეზღუდვის მცდელობები სულ მცირე 83

---

[1] კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“), საქართველოს უნივერსიტეტი.
e-mail: d.kutidze@ug.edu.ge

[2] World Health Organization. Coronavirus disease (COVID-19) pandemic. https://bit.ly/38Tibl2

[3] დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2020. სიტყვის თავისუფლება პანდემიის დროს - ცენზურის როლი COVID-19 -ის გავრცელებაში. https://bit.ly/3A1mBlu

[4] Human Rights Watch. 2021. Covid-19 Triggers Wave of Free Speech Abuse. https://bit.ly/3E1sIZD

ქვეყანაში გამოვლინდა (Human Rights Watch[5]; International Press Institute – 1[6], 2[7]; International Center For Not-For-Profit Law[8]).

პანდემიის დაწყებისთანავე, ვირუსის შესახებ დეზინფორმაციის (რომელიც ნამდვილად წარმოადგენს დიდ პრობლემას თანამედროვე მსოფლიოში) წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, ათობით ქვეყანამ შემოიღო ახალი საკანონმდებლო რეგულაცია ან უფრო ინტენსიურად გამოიყენა მანამდე არსებული შემზღუდავი ნორმები. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს საკანონმდებლო ნორმები და მთავრობების ქმედებები არა დეზინფორმაციასთან ბრძოლას, არამედ კრიტიკული აზრის შეზღუდვას ისახავდა მიზნად. ავტოკრატიულ ქვეყნებში „ყალბი ამბების“ (რომლებიც, შესაძლოა სულაც არ იყვნენ ყალბი, არამედ - უბრალოდ კრიტიკული) კრიმინალიზაცია გამოიყენეს იარაღად, რომლითაც ინფორმაციის კონტროლი და მედიის გაჩუმება ხდებოდა. იყო რამდენიმე ისეთი ქვეყანაც, რომელთა ცალსახა მიზანს არ წარმოადგენდა კრიტიკული ხმების ჩახშობა, თუმცა, მათ მიერ ნაჩქარევად და ბუნდოვანი ფორმულირებებით მიღებული კანონებიც კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა.

წინამდებარე მიმოხილვაში, 40-ზე მეტი ქვეყნის მაგალითზე, შევეცდებით ავსახოთ კოვიდ-19 -ის კონტექსტში დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით მიღებული ის რეგულაციები (მათი რეალური მიზნები და პრაქტიკული აღსრულება), რომლებმაც დამატებითი პრობლემები შეუქმნეს პანდემიისგან ისედაც დაზარალებულ მოქალაქეებს. ქვეყნები, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ, სიტყვის თავისუფლების დაცვაზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით შეირჩა. მათი შერჩევის მთავარი პრინციპი კი, დეზინფორმაციასთან და ყალბ ამბებთან ბრძოლის საბაბით მიღებული რეგულაციები ან/და პრაქტიკული ზომები გახდა, რომელთა აღრიცხვაც ამ დროისთვის არის შესაძლებელი. მიმოხილვას ჩინეთით დავიწყებთ, რომლის მთავრობის ქმედებებმაც, როგორც აღვნიშნეთ, ხელი შეუწყო ეპიდემიის ფართოდ გავრცელებას. ასევე მიმოვიხილავთ ამ მხრივ საქართველოში და მის სამეზობლოში, პოსტ-საბჭოთა სივრცეში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე კი, ვეცდებით გამოვკვეთოთ ის ძირითადი მიზეზები და საერთო მიდგომები, რაც სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლების მიერ პანდემიის პერიოდში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისთვის იქნა გამოყენებული.

---

[5] Human Rights Watch. Covid-19 Triggers Wave of Free Speech Abuse. https://bit.ly/3nj6AnA

[6] International Press Institute. Covid-19: Number of Violation of Media Freedom Violations by Region. https://bit.ly/3yY8XOW

[7] International Press Institute. 2020. Rush to pass “fake news” laws during Covid-19 intensifying global media freedom challenges. https://bit.ly/3E0Hpft

[8] International Center for Non-For-Profit Law. Covid-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

კოვიდ-19 -ის შესახებ დეზინფორმაციასთან ბრძოლის მოტივით მიღებული ზომები და სიტყვის თავისუფლება - მსოფლიო პრაქტიკის მიმოხილვა

ჩინეთი - კოვიდ-19 -თან დაკავშირებული თავისუფალი სიტყვის ცენზურაზე პირველი ქვეყანა, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, ჩინეთია. როდესაც ჩინეთის მთავრობამ სცადა ეპიდემიაზე რეაგირება, მან ასევე იმუშავა იმის გასაკონტროლებლად, თუ რა ინფორმაცია იყო დაავადების შესახებ ინტერნეტში და მედიაში. თავდაპირველად, როდესაც რვა ინდივიდი (რომელთაგან ორი სამედიცინო ექსპერტი იყო), რომლებიც ცდილობდნენ გაეფრთხილებინათ საზოგადოება ახალი ვირუსის აფეთქების შესახებ 2019 წლის დეკემბერში, დაისაჯა ვუჰანის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ „ჭორების გავრცელებისა“ და „სოციალური წესრიგის დარღვევისთვის[9]“.

საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch -ის მიერ 2020 წლის 30 იანვარს გამოქვეყნებული განცხადების[10] თანახმად, ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე ჩინეთის ხელისუფლებამ მოსახლეობა არ გააფრთხილა მოსალოდნელი რისკების შესახებ, დამალა ვირუსით ინფიცირებულთა სტატისტიკა და რაც მთავარია, გამორიცხა ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გავრცელების შესაძლებლობა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ჭორების გავრცელების“ ბრალდებით დააკავეს[11] ის მოქალაქეები, რომლებიც ვირუსის სახიფათო თვისებების შესახებ საუბრობდნენ, დააწესეს ცენზურა ონლაინ დისკუსიებზე და მედიას ამ თემის გაშუქება აუკრძალეს. იანვრის დასაწყისში ჩინეთის პოლიციამ „ჭორების გავრცელების“ ბრალდებით დაკითხა ექიმი ლი ვენლიანგი, რომელიც საზოგადოებას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ 2019 წლის მიწურულს აფრთხილებდა. პოლიციამ მას დააწერინა ხელწერილი, რომ მსგავს არაკანონიერ ქმედებებს აღარ ჩაიდენდა. 12 იანვარს აღნიშნული ექიმი პნევმონიის დიაგნოზით ჰოსპიტალში მოხვდა, თებერვლის დასაწყისში კი კორონავირუსისგან გამოწვეული გართულებებით გარდაიცვალა. ამ ფაქტის გამო მწუხარებამ და მრისხანებამ მოიცვა სოციალური მედია. ლის სიკვდილმა მოქალაქეებს ნათლად დაანახა ჩინეთის მთავრობის ძლიერი სურვილი არასასურველი ინფორმაციის ჩასახშობად. თუმცა, ცენზურა ამის შემდეგ უფრო გაძლიერდა[12]. ოფიციალური პირები შეუდგნენ არასასიამოვნო ამბების მიჩქმალვას ადგილობრივი პროპაგანდისტული მუშაკებისა და საინფორმაციო საშუალებებისთვის გაგზავნილი კონფიდენციალური მითითებების საშუალებით. მათ უბრძანეს საინფორმაციო ვებ-გვერდებს, არ გაეშუქებინათ ლის სიკვდილის ფაქტი. ასევე, გააქტიურეს ყალბი ონლაინ კომენტატორების ლეგიონები, რათა სოციალური ვებ-გვერდები ალტერნატიული ინფორმაციით „დაეტბორათ“.

2020 წლის 10 თებერვლისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უზენაესი სახალხო სასამართლო, უზენაესი სახალხო პროკურატურა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო ერთობლივად გამოსცემდნენ სასამართლო დასკვნებს

---

[9] Lotus Ruan, Jeffrey Knockel, and Masashi Crete-Nishihata. The Citizen Lab. 2020. Censored Contagion – How Information on the Coronavirus is Managed on Chinese Social Media. https://bit.ly/2X913VO

[10] Human Rights Watch. 2020. China: Respect Rights in Coronavirus Response. https://bit.ly/3nc7GS6

[11] David Gilbert. Vice News. 2020. A Chinese Citizen Journalist Covering Coronavirus Just Live-Streamed His Own Arrest. https://bit.ly/3hgYmbG

[12] Chinese Human Rights Defenders. 2020. China Must End Crackdown on Online Speech in Response to Covid-19. https://bit.ly/3z0OzfU

კოვიდ-19 -ის მართვის შესახებ[13], რათა განესაზღვრათ სტანდარტები რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონის დებულებებში. ეპიდემიის პრევენციისა და კონტროლის პერიოდში გარკვეული დანაშაულების ჩადენაზე დაწესდა უფრო მკაცრი სასჯელი. დებულებები ითხოვდა „მკაცრად დასჯილიყო დანაშაულები ჭორების შეთხზვისა და გავრცელებისათვის“.

2020 წლის 5 თებერვალს, ჩინეთის კიბერსივრცის ადმინისტრაციამ (CAC), ჩინეთის ინტერნეტის მაკონტროლებელმა სააგენტომ, გამოაქვეყნა საჯარო განცხადება, რომლის თანახმადაც, "ვებ-გვერდებზე, პლატფორმებზე და ანგარიშებზე" "მავნე" ინფორმაციის გამოქვეყნება და კოვიდ-19 -თან დაკავშირებით „შიშის გავრცელება“ დაისჯებოდა. პანდემიის დასაწყისში აღწერილი იყო ასეულობით შემთხვევა „ჭორების გავრცელების“ გამო ადამიანების გაფრთხილების, დაჯარიმების, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ[14].

The Citizen Lab -ის საგამოძიებო ანგარიშის თანახმად[15], შესაბამისი ტექნოლოგიების საშუალებით, მასშტაბურად კონტროლდებოდა სოციალური ქსელები - სპეციალურად კოდირებული სიტყვების ან სიტყვათა კომბინაციის მეშვეობით ხდებოდა არასასურველი ინფორმაციის გამოვლენა და წაშლა. ამასთან, ხელისუფლებამ გასცა მკაცრი ბრძანებები ახალი ამბების გაშუქების შინაარსსა და ტონზე. გაიცა დირექტივა, რომ მედიაში ახალი ამბების სათაურებიდან უნდა მოხსნილიყო სიტყვები - "განუკურნებელი" და "საბედისწერო", რათა თავიდან აეცილებინათ „საზოგადოების პანიკა“. გადაადგილებისა და მოგზაურობის შეზღუდვების გაშუქებისას სიტყვა „ჩაკეტვა“ არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ოფიციალურმა პირებმა საინფორმაციო მედიას კრიზისის მასშტაბების შემცირებულად წარმოჩენა მოსთხოვეს[16].

მდგომარეობა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში

კოვიდ-19 -ის მსოფლიო მასშტაბით გავრცელებას მყისიერად მოჰყვა ათეულობით ქვეყნის მთავრობის მიერ მკაცრი და სიტყვის თავისუფლებისთვის უაღრესად საფრთხისშემცველი რეგულაციების შემოღება. ამ სამწუხარო ტენდენციას, როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილი ჰქონდა საქართველოს სამეზობლოშიც.

თუმცა, სანამ უშუალოდ სამეზობლოზე გადავიდოდეთ, შევეხოთ ამ მხრივ **საქართველოში** არსებულ მდგომარეობას. აღსანიშნავია მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილება[17] ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ამ დადგენილებით, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შეჩერდა საჯარო ინფორმაციის გაცემის და ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების ვადების

[13] International Center For Not-For-Profit Law. Covid-19 Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw
[14] Lotus Ruan, Jeffrey Knockel, and Masashi Crete-Nishihata. The Citizen Lab. 2020. Censored Contagion – How Information on the Coronavirus is Managed on Chinese Social Media. https://bit.ly/2X913VO
[15] Lotus Ruan, Jeffrey Knockel, and Masashi Crete-Nishihata. The Citizen Lab. 2020. Censored Contagion – How Information on the Coronavirus is Managed on Chinese Social Media. https://bit.ly/2X913VO
[16] Raymond Zhong, Paul Mozur, Aaron Krolik, The New York Times, and Jeff Kao. Propublica. 2020. Leaked Documents Show How China's Army of Paid Internet Trolls Helped Censor the Coronavirus. https://bit.ly/3l3dieG
[17] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2020. საქართველოს მთავრობის #181 დადგენილება საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ. https://bit.ly/38VO4cy

განმსაზღვრელი დებულებები, რაც იმას ნიშნავდა, რომ საჯარო დაწესებულებებს მოეხსნათ ვალდებულება დაეცვათ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონით განსაზღვრული ვადები. ბუნებრივია, აღნიშნული დებულებაც იყო პრობლემური და დამატებით ბარიერებს ქმნიდა ჟურნალისტებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისთვის. კოვიდ-19 -ის კონტექსტში (2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით), საქართველოს არ შემოუღია რაიმე სხვა ისეთი ნორმა, რაც გააჩენდა თავისუფალი სიტყვის ცენზურის აშკარა საფრთხეს. უნდა ითქვას, რომ გასული და მიმდინარე წლის განმავლობაში, კრიტიკული მედიასაშუალების მფლობელებსა და მმართველებზე დაიყწო ან გაგრძელდა სასამართლო დავები სისხლის სამართლის სხვადასხვა მუხლით, რაც, ბუნებრივია, შეშფოთებას იწვევს. ამასთან, პერიოდულად, საქართველოს კომუნიკაციების კომისია ცდილობდა მედიის შინაარსში ჩარევას[18]; დაფიქსირდა ჟურნალისტებზე ძალადობის ფატები, საიდანაც განსაკუთრებით გამოსარჩევია 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები[19]. თუმცა, უკიდურესად შემაშფოთებელი ხასიათის მიუხედავად, აღნიშნული ფაქტები არ უკავშირდებოდა კოვიდ-19 -ის ეპიდემიას და მასზე ხელისუფლების რეაგირებას. ამდენად, მათი მიმოხილვა ამ დოკუმენტის ფარგლებს სცდება.

რუსეთი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის დაწყებისთანავე, რუსეთის ხელისუფლებამ დაამტკიცა ახალი კანონი კოვიდ-19 -თან დაკავშირებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ. ასევე, დაიწყო მთავრობის მიერ კორონავირსზე რეაგირების შესახებ გამოქვეყნებული კრიტიკული ინფორმაციის გაკონტროლება[20]. 31 მარტს რუსეთის დუმამ მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის 207 -ე მუხლში, რომელიც მეორე დღეს, პრეზიდენტ პუტინის ხელმოწერის შემდგომ შევიდა ძალაში. კანონის თანახმად, ისინი, ვინც დადანაშაულებულნი იქნებიან "ცრუ ინფორმაციის" გავრცელებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ისეთი სერიოზული საკითხების შესახებ, როგორიცაა კოვიდ-19, ემუქრებათ ჯარიმა 23 000 ევრომდე და ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. იურიდიულ პირებს, როგორიცაა მედიასაშუალებები, ასევე შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 117 000 ევრომდე, თუ ისინი გამოაქვეყნებენ იმას, რასაც ხელისუფლება მიიჩნევს დეზინფორმაციად ეპიდემიის შესახებ. ახალმა კანონმა შეავსო ისედაც მკაცრი კანონმდებლობა, რომელიც მიღებული იყო 2019 წლის მარტში და ითვალისწინებდა ჯარიმებს იმ ადამიანებისთვის, ვინც ავრცელებს დეზინფორმაციას ან შეურაცხყოფს სახელმწიფოს ტრადიციულ ან სოციალურ მედიაში. 2020 წლის ჯანდაცვის კრიზისამდე არსებული რეგულაციებით „ყალბი ახალი ამბების“ გავრცელება ისჯებოდა ადმინისტრაციული კოდექსით და იწვევდა ჯარიმებს და ვებ-გვერდების დაბლოკვას, ხოლო ეპიდემიის დროს მიღებული კანონი სისხლის სამართლის კოდექსს დაექვემდებარა[21]. გალინა არაპოვამ, „მასმედიის დაცვის ცენტრის“ უფროსმა იურისტმა განაცხადა, რომ კანონმდებლობა მსუსხავ გავლენას ახდენდა პანდემიის შესახებ მომუშავე ჟურნალისტებზე. „ეს არის მედიისა და ინტერნეტ სივრცის კონტროლის საშუალება, ასევე კრიზისზე მთავრობის რეაგირების

---

[18] დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2021. კომუნიკაციების კომისია როგორც ცენზურის კომიტეტი. https://bit.ly/3Eer0Ev

[19] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი. https://bit.ly/3jYuW41

[20] International Press Institute. 2020. New “fake news” law stifles independent reporting in Russia on Covid-19. https://bit.ly/3jUhoqb

[21] International Center For Not-For-Profit Law. Covid-19 Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

კრიტიკული შეფასებების კონტროლის მცდელობა“, - განუცხადა[22] მან „პრესის საერთაშორისო ინსტიტუტს (IPI)“.

ხელისუფლებამ აღნიშნული კანონი მალევე გამოიყენა პრაქტიკაში. 25 აპრილს, ახალი კოდექსით დაიწყო წინასწარი გამოძიება სანქტ-პეტერბურგში მოღვაწე ჟურნალისტ ტატიანა ვოლტსკაიას წინააღმდეგ (აშშ-ის მიერ დაფინანსებული რადიო „თავისუფალი ევროპის“ კორესპონდენტი). გამოძიება დაიწყო ინტერვიუს გამო, რომელიც მან გამოაქვეყნა საინფორმაციო ვებ-გვერდ Sever -ზე. ინტერვიუ ჩაიწერა ანონიმურ ექიმთან, რომელიც საუბრობდა სავენტილაციო აპარატების შესაძლო დეფიციტის შესახებ. ჟურნალისტი მოგვიანებით დაკითხეს და ზეწოლა მოახდინეს მისი წყაროების გამოსავლენად. 28 აპრილს, ქვეყნის მედიის მარეგულირებელმა სააგენტომ, როსკომნაძორმა, დაბლოკა მოსკოვის სამედიცინო საინფორმაციო პლატფორმის Vademecum -ის ვებ-გვერდი. გვერდის დაბლოკვა მოითხოვა გენერალურმა პროკურატურამ. პროკურორი ამტკიცებდა, რომ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატია მიზანმიმართულად ავრცელებდა "ცრუ ინფორმაციას", რომელიც ქმნიდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ზიანს. 2020 წლის 15 აპრილს როსკომნაძორმა მოსთხოვა „ნოვაია გაზეტას“ წაეშალა ვებ-გვერდიდან კრიტიკული სტატია ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ კოვიდ-19 -ის დროს. ბრძანება გამოიცა მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა მუქარა გამოაქვეყნა სტატიის ავტორის ჟურნალისტის მიმართ. გარდა ამისა, პანდემიის დასაწყისშივე, სოციალურ პლატფორმებს - YouTube -ს, Instagram -ს და Vkontakte -ს, მარეგულირებელმა მოსთხოვა ამოეღოთ შინაარსი, რომელსაც ხელისუფლება საფრთხისშემცველად მიიჩნევდა[23].

რუსეთის მთავრობამ მოახდინა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ცენტრალიზებაც. კერძოდ, ექიმებს აეკრძალათ მედიასთან საუბარი, ხოლო ჯანდაცვის დაწესებულებების ხელმძღვანელებს პრესასთან ინტერვიუების მიცემამდე თანხმობა უნდა მიეღოთ ცენტრალური ხელისუფლებისგან[24]. ამ პოლიტიკამ კიდევ უფრო შეზღუდა ჟურნალისტების შესაძლებლობა, შეაგროვონ ინფორმაცია ვირუსის გავრცელების შესახებ მათ ქალაქში ან რეგიონში. "არაოფიციალური" წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვებამ ან ანონიმური ინტერვიუების ჩატარებამ შექმნა ჟურნალისტთა დაჯარიმების ან/და დაპატიმრების საფრთხე.

სომხეთი - 2020 წლის 16 მარტს, როდესაც სომხეთმა კოვიდ-19 -ის გავრცელების გამო საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, მედიასაშუალებებს და სოციალური მედიის მომხმარებლებს აეკრძალათ ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც ითვლება "პანიკის წყაროდ". მთავრობის საგანგებო მდგომარეობის სარდლობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მათ ვინც ამ შეზღუდვებს დაარღვევდა, მალევე დაუკავშირდებოდა პოლიცია, რათა წაეშალათ ან შეეცვალათ "პრობლემური" მასალა[25]. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია - გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაცია - თავის

[22] International Press Institute. 2020. New “fake news” law stifles independent reporting in Russia on Covid-19. https://bit.ly/3jUhoqb
[23] Andrew Blake. The Washington Times. 2020. Russia invokes “fake news” law to order removal of coronavirus reports from web. https://bit.ly/2YHXYN6
[24] International Center For Not-For-Profit Law. Covid-19 Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw
[25] International Press Institute. Covid-19: Number of Media Freedom Violations by Region. https://bit.ly/2X4bE46

პლატფორმაზე (Hetq.com) წერდა[26] გაზეთების Aravot და Hraparak -ის რედაქტორების მიმართ წამოყენებულ მსგავს მოთხოვნებზე. პოლიცია დაუკავშირდა სხვა მედიასაშუალებებს და სოციალური მედიის მომხმარებლებსაც და მოსთხოვეს მათ ამოეღოთ ისეთი მასალები, რომელიც ხელისუფლების მიერ სადავოდ იყო მიჩნეული. იმ პერიოდისთვის, მსგავსი მოთხოვნა 22 -მა მედიასაშუალებამ მიიღო. Heqt -ისავე ინფორმაციით, მთავრობის საგანგებო მდგომარეობის დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ მედიასაშუალებებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ მთავრობის პრეს-რელიზები და სომხეთის ერთიანი საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებულ ცნობები კორონავირუსის შესახებ საუბრისას. საგანგებო მდგომარეობის კომისიამ (სარდლობამ) კი, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა გამოქვეყნებული ან განთავსებული ინფორმაცია მედიის მიერ დარღვევით გამოქვეყნებული.

აზერბაიჯანი - 2020 წლის 25 მარტს ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენელმა ჰარლემ დეზირმა გამოხატა შეშფოთება[27] აზერბაიჯანის ეროვნული პარლამენტის მიერ 17 მარტს ინფორმაციის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით. ცვლილებებით, ნებისმიერი ინტერნეტ-საინფორმაციო რესურსის მფლობელს დაეკისრა ვალდებულება, ხელი შეეშალა ყალბი ცნობების გავრცელებისთვის. კანონის თანახმად, აიკრძალა ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ქონებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების მუშაობას... ხელისუფლებას მიეცა საშუალება დაესაჯა ონლაინ მედიის მფლობელები ნებისმიერი "არაზუსტი" ან "საშიში" შინაარსის ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის[28]. ბუნდოვნად ფორმულირებულმა კანონმა გააჩინა ცენზურის საფუძვლიანი რისკები. ფორმალურად, კანონი მიიღეს კოვიდ-19 -ის კრიზისის დროს დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა მედიამ მალევე ატეხა განგაში კანონის ძალადობრივი მიზნებით გამოყენების შესახებ.

აღნიშნული მოვლენების პარალელურად, სერიოზული კითხვები წარმოშვა პრეზიდენტ ალიევის სიტყვით გამოსვლამ ნოვრუზის დღესასწაულთან დაკავშირებით, სადაც მან დააანონსა ხელისუფლების მიერ კოვიდ-19 -ის კრიზისის გამოყენება ხელისუფლების აზერბაიჯანელი ოპოზიციის „იზოლაციისთვის“, რომელსაც იგი მოღალატეების „მეხუთე კოლონად“ მოიხსენიებდა. „ეს ენა შემაძრწუნებლად ჰგავს იმ ენას, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გამოიყენა კრიტიკული ხმების წინააღმდეგ 2014 წლის ფართომასშტაბიანი დარბევის წინ. მთავრობის ნებისმიერი ძალისხმევა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად არ უნდა იქნას გამოყენებული შემდგომი რეპრესიების იარაღად“ - განაცხადა[29] საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights House Foundation -მა.

თურქეთი - 2020 წლის მარტიდან თურქეთის ხელისუფლებამ მიზანში ამოიღო ექიმების პროფესიული გაერთიანებები მედიისთვის ინტერვიუების მიცემისა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული განცხადებების გამო, რომელიც, მთავრობის აზრით, ქმნიდა "შიშსა და პანიკას". თურქეთის სამედიცინო ასოციაციის გენერალურმა მდივანმა 6 მაისს Human Rights

---

[26] Grisha Balasanyan. Heqt – Association of Investigative Journalists NGO. 2020. Armenia: State of Emergency Press Restrictions Continue; 22 Media Outlets Told to Remove/Edit Coronavirus Content. https://bit.ly/3yYiVj2

[27] Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE). 2020. Coronavirus response should not curb freedom of the press in Azerbaijan, says OSCE Media Freedom Representative. https://bit.ly/2YG4YKq

[28] International Center For Non-For-Profit Law. Covid-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

[29] Human Rights House Foundation. 2020. Azerbaijani authorities must not continue to use COVID-19 pandemic to further crackdown on civil society. https://bit.ly/3hgoYtB

Watch -ს განუცხადა, რომ ჯანდაცვის მუშაკები ხდებიან დევნის ობიექტი, თუკი საზოგადოებას მიაწვდიან მთავრობისთვის მიუღებელ ინფორმაციას კოვიდ-19 -ის შესახებ და ამის გამო ისინი ხშირად მიმართავენ თვითცენზურას. ექიმების ძირითადი შეშფოთება, რომლის შესახებ საუბარსაც მთავრობა კრძალავდა, კლინიკებში შესაბამისი აღჭურვილობის ნაკლებობას ეხებოდა. მათ შორის ისეთ აღჭურვილობას, რაც ექიმების უსაფრთხო მუშაობას უზრუნველყოფს. Human Rights Watch -ის მონაცემებით, ხშირი იყო ექიმთა პოლიციის განყოფილებებში დაკითხვის ფაქტები მათ მიერ სოციალურ ქსელებში გავრცელებული პოსტების გამო, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ თურქეთის ხელისუფლების ადეკვატურ პასუხს ვირუსის გავრცელებაზე[30].

მთავარი ოპოზიციური პარტიის - რესპუბლიკური სახალხო პარტიის (CHP) დეპუტატმა უტკუ ჩაკარიზერმა, პროფესიით ჟურნალისტმა, გამოაქვეყნა ანგარიში[31], რომელშიც მან შეადგინა სიტყვის თავისუფლების დარღვევების შესახებ თურქეთში კოვიდ-19 -ის პანდემიის დასაწყისში. ანგარიშის თანახმად, რომელიც მოიცავს პერიოდს 11 მარტიდან (როდესაც ოფიციალურად გამოცხადდა კორონავირუსის პირველი შემთხვევა თურქეთში) 1 მაისამდე პერიოდს, 273 საინფორმაციო გამოშვებაზე წვდომა დაბლოკილი იყო „პანდემიასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ აღქმების დაზიანებისათვის“; გამოძიება დაიწყო 30 ჟურნალისტის წინააღმდეგ; დააკავეს 11 ჟურნალისტი; ერთი ჟურნალისტი კი, დააპატიმრეს სასამართლო პროცესამდე.

პანდემიის დასაწყისში მმართველი პარტიის - სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) - მიერ ინიცირებული კანონპროექტი, როგორც ვირუსის გავრცელებასთან ბრძოლის ღონისძიებების ნაწილი, მოიცავდა სოციალური ქსელის პროვაიდერების ისეთ ვალდებულებებს, როგორიცაა თურქეთში კანონიერი მეკავშირე ოფიცრის დანიშვნა და მომხმარებლის მონაცემების შესანახად გადაცემა თურქეთის ხელისუფლებისთვის. თუმცა, ეს პროექტი კანონად ვერ იქცა. რამდენიმე დღის შემდეგ, 30 აპრილს, მთავრობის მოკავშირე ნაციონალისტური მოძრაობის პარტიამ (MHP) დააინიცირა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალურ მედიაში დეზინფორმაციისა და ყალბი ანგარიშების აღმოფხვრას და ყოველი მომხმარებლის ვალდებულებას, სოციალურ მედიაში ავტორიზაცია გაევლოთ მათი ეროვნული პირადობის ნომრების გამოყენებით.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 25 მარტის განცხადების თანახმად, მთავრობამ დააკავა 400 -ზე მეტი ადამიანი სოციალურ მედიაში კორონავირუსის გავრცელების შესახებ "პროვოკაციული" პოსტების გამო. 14 აგვისტოს თურქეთის რადიოსა და ტელევიზიის უზენაესმა საბჭომ (RTUK) დააწესა ადმინისტრაციული ჯარიმა მედიასაშუალებებზე მას შემდეგ, რაც მათ გააშუქეს ინფორმაცია, რომელიც აკრიტიკებდა თურქეთის მთავრობის მიერ ეპიდემიის მართვას[32]. 2020 წლის განმავლობაში თურქეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა „ყალბი ამბების“ შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას[33] და ამ გზით სოციალური ქსელების კონტროლს[34].

---

[30] Human Rights Watch. 2020. Turkey: Probes Over Doctors' Covid-19 Comments. https://bit.ly/2X1hbZP
[31] Cansu Piskin. EXPRESSION INTERUPTED! 2020. CHP'S Cakirozer: Gov't bodies turned into weapons against the press. https://bit.ly/3A0roUe
[32] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw
[33] DAILY SABAH. 2021. Turkey to open social media directorate. https://bit.ly/3ngGj9r
[34] Deutsche Welle. 2020. Turkey tightens control on social media with new law. https://bit.ly/398cnUV

კოვიდ-19 -ის შესახებ ინფორმაციის შეზღუდვის ფაქტები დანარჩენ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში

მოლდოვა - 2020 წლის 17 მარტს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან ერთად, მედიასაშუალებებზე გავრცელდა სპეციალური წესები[35]. 24 მარტს, მედიის მიმართ გამოიცა შესაბამისი დადგენილება მოლდოვას აუდიოვიზუალური საბჭოს (ქვეყნის მედიის მთავარი მარეგულირებელი ორგანო) პრეზიდენტის მიერ. მედიას დაევალა თავის შეკავება საკუთარი „აზრის“ გამოხატვისგან, რათა უზრუნველეყოთ „მაქსიმალური სიზუსტე“ პანდემიის გაშუქებისას[36]. მათ უნდა გაეხმოვანებინათ მხოლოდ კომპეტენტური ორგანოების (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მოლდოვას რესპუბლიკის განსაკუთრებული სიტუაციების კომისია, რესპუბლიკის მთავრობა, მოლდოვა და ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) პოზიცია საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც დაწესდა კოვიდ-19 -ის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ამ რეგულაციამ გამოიწვია განგაში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. მას ჟურნალისტებისა და მედია ასოციაციების მწვავე კრიტიკა მოჰყვა[37].

ბელარუსი - 2020 წლის 15 მაისს ბელორუსის პოლიციამ ადგილობრივ ჟურნალისტ ზმისტერ ლუპაჩზე შეადგინა ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22.9 მუხლის შესაბამისად („მედიაპროდუქტების უკანონო წარმოება და გავრცელება“). სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ჟურნალისტი 1 080 ბელარუსული რუბლით - 450 დოლარით დაჯარიმდა[38]. ეს ფაქტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ კარგად წარმოაჩენს ბელარუსის ხელისუფლების მიდგომას მედიის მიმართ. ისევე როგორც ლუპაჩს, სხვა არაერთ ჟურნალისტს უარი ეთქვათ აკრედიტაციაზე. ბელარუსის აბსურდული კანონმდებლობა კი, ითვალისწინებს სასჯელს აკრედიტაციის გარეშე მუშაობაზე, "მედიაპროდუქტების უკანონო წარმოებისა და გავრცელებისთვის". თუ ვინმეს აქვს აკრედიტაცია, მათ უფლება აქვთ შეასრულონ ჟურნალისტური მოვალეობები, თუ არა - მათი საქმიანობა აკრძალულია. აკრედიტაციას კი, შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოები გასცემენ. ჟურნალისტების დაპატიმრებისა და უცხოელი რეპორტიორებისთვის აკრედიტაციის ჩამორთმევის ფაქტები შედმგომშიც გაგრძელდა[39].

გარდა ამისა, პანდემიის დაწყებისთანავე, ბელარუსის ხელისუფლება შემჩნეული იყო ვირუსის შესახებ სტატისტიკის დამალვაში. ჯანდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახური აქვეყნებდა პოსტებს Viber -სა და Telegram -ზე ჟურნალისტებისთვის. პოსტები განახლდებადი იყო, თუმცა ინფორმაცია არასრული. მაგალითად, არ არსებობდა მონაცემები მძიმე დაავადების მქონე პაციენტებზე, ან ვირუსის ლოკალურ აფეთქებებზე. ასევე, არ არსებობდა ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავდა ბელარუსი კოვიდ-19 -ით სიკვდილიანობას. დაახლოებით 10 წლის წინ, ბელორუსის ჯანდაცვის სისტემაში ახალი პოლიტიკა შემოიღეს. იგი ავალდებულებდა მის ყველა ოფიციალურ პირს და ექსპერტს არ ესაუბრათ ჟურნალისტებთან, თუ ეს არ იყო კოორდინირებული სამინისტროს პრეს-სამსახურთან. ამ რეგულაციის პრობლემურობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა კოვიდ-19 -

[35] Parliament of Republic of Moldova. 2020. On declaring a state of emergency. https://bit.ly/3tr8Lqd
[36] International Center for Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw
[37] Madalin Necsutu. Balkan Insight. 2020. Battling Coronavirus, Moldova Targets Unwanted Media “Opinion”. https://bit.ly/3l8Nxtp
[38] Belsat TV. 2020. Freelance journalist gets hefty fine for contribution to Belsat TV. https://bit.ly/3lbBD1Q
[39] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

ის გაშუქების დროს[40]. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები ცდილობდნენ არ გაეკეთებინათ ვირუსის შესახებ კომენტარები (მინიმუმ, ვინაობის დაფარვის გარეშე), რადგან არსებობდა რისკი, დასჯილიყვნენ „ცილისწამების“ ან „ყალბი ახალი ამბების“ გავრცელების გამო.

ყირგიზეთი - 2020 წლის 30 მარტს კომენდანტის ოფისმა, რომელიც ეპიდემიაზე რეაგირების ერთ-ერთი მთავარი ორგანოა, განაცხადა, რომ არასახელმწიფო მედიასაშუალებები არ მიიღებდნენ აკრედიტაციას საგანგებო სიტუაციის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ არ შეეძლოთ საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულება[41]. Human Rights Watch -მა დაადგინა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტმა (GKNB) მედიასაშუალებებში გამოაქვეყნა სულ მცირე 27 ადამიანის ფოტო და პირადი ინფორმაცია, რომლებსაც იგი ადანაშაულებდა ვირუსის შესახებ "შეგნებულად მცდარი ინფორმაციის გავრცელებაში". კომიტეტმა თქვა, რომ ისინი დააკავეს, და გაათავისუფლეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოდიში მოუხადეს საზოგადოებას. ხელისუფლებამ „შეახსენა ხალხს, რომ ცრუ ინფორმაციის გავრცელება ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას“. აღნიშნული გაფრთხილება ეხებოდა როგორც მედიას, ისე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს. მაგალითად, ექიმს, რომელმაც ღიად ისაუბრა მისი საავადმყოფოს ნიღბების ცუდი ხარისხის შესახებ, გააუქმებინეს სოციალური მედიის ანგარიშები. მოგვიანებით კი, ინტერნეტ-სივრცეში გამოჩნდა ვიდეო, რომელშიც მან ბოდიში მოიხადა ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის და უკან წაიღო თავისი კრიტიკა[42].

უზბეკეთი - 2020 წლის აპრილში ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათ გამოავლინეს 13 ადამიანი, რომლებიც სოციალურ მედიაში ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას, რომელთაგან ოთხს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება. ასევე ითქვა, რომ ისინი იძიებდნენ დამატებით 33 სოციალური მედიის ანგარიშს, რომლებიც "პანიკას იწვევდნენ"[43]. 2020 წლის 26 მარტს პრეზიდენტმა შავკატ მირზიოევმა შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც შეტანილი იქნა ახალი სანქციები კოვიდ-19 -ისა და სხვა საშიში ინფექციური დაავადებების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის. დაწესდა ჯარიმები ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მსგავსი ქმედებისთვის[44].

ყაზახეთი - ყაზახეთში ხელისუფლებამ გამოიყენა უკვე არსებული კანონები სიტყვის თავისუფლების აღსაკვეთად. მოსამართლემ 10 დღიანი პატიმრობა შეუფარდა მამაკაცს "საგანგებო სიტუაციის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პროვოცირებისთვის" მას შემდეგ, რაც მან ფეისბუქზე ატვირთა ვიდეო, სადაც ნაჩვენებია ხალხის გრძელი რიგები ერთ-ერთ ბანკთან. 2020 წლის 11 აპრილს ჟურნალისტები დააკავეს ატირაუს რაიონის საავადმყოფოს ექიმებთან გასაუბრებისას და დაადანაშაულეს "საგანგებო სიტუაციის დარღვევაში". 18 აპრილს პოლიტიკური აქტივისტი ალნურ ილიაშევი ორი თვით დააპატიმრეს "საგანგებო სიტუაციის დროს შეგნებულად ცრუ ინფორმაციის გავრცელების" ბრალდებით. არაერთი სხვა აქტივისტი ანალოგიურად დააკავეს და ბრალი წაუყენეს კარანტინის დარღვევაში ან ცრუ ინფორმაციის

---

[40] The Belarusian Association of Journalists (BAJ). 2020. How Belarusian officials withhold information about COVID-19 from the public. Editors of Belarusian media tell their stories. https://bit.ly/3DZMg0l
[41] Human Rights Watch. 2020. Central Asia: Respect Rights in COVID-19 Responses. https://bit.ly/3yWXS0v
[42] Human Rights Watch. 2020. Central Asia: Respect Rights in COVID-19 Responses. https://bit.ly/3yWXS0v
[43] Human Rights Watch. 2020. Central Asia: Respect Rights in COVID-19 Responses. https://bit.ly/3yWXS0v
[44] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

გავრცელებაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ერთადერთი გზავნილი ეპიდემიაზე მთავრობის რეაგირების კრიტიკა იყო[45].

ტაჯიკეთი - 2020 წლის 4 ივლისს პრეზიდენტმა ემომალი რაჰმონმა ხელი მოაწერა ცვლილებებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელმაც არალეგალურად გამოაცხადა კოვიდ-19 -ის პანდემიის შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელება მედიაში, ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში. ცვლილებები ტაჯიკეთის პარლამენტის ორივე პალატამ ერთხმად დაამტკიცა. ცვლილებების მიხედვით, დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს შეიძლება მიესაჯოთ ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე და ჯარიმა 580 -დან 1 160 სომონამდე (დაახლოებით 50 -დან 100 ევრომდე), ხოლო მედიასაშუალებები შეიძლება დააჯარიმონ 8 700 - 11 600 სომონით (800 -დან 1 100 ევრომდე). ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების თანახმად, მიღებული რეგულაცია არ იძლევა მკაფიო მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავს მთავრობა ინფორმაციის სიყალბეს. სამოქალაქო საზოგადოებამ და მედია ორგანიზაციებმა, როგორც ტაჯიკეთში, ასევე საერთაშორისო დონეზე განაცხადეს, რომ პრაქტიკულად, ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც ითვლება „ზუსტად და ჭეშმარიტებად“, არის მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. მათ ასევე გამოთქვეს შეშფოთება, რომ კანონი გამოიყენებოდა აქტივისტებისა და ჟურნალისტების დასასჯელად[46].

თურქმენეთი - 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თურქმენეთს არ ჰქონდა კოვიდ-19 -ის არცერთი შემთხვევა. მაგრამ, დამოუკიდებელმა წყაროებმა განაცხადეს, რომ მრავალი ადამიანი გარდაიცვალა ვირუსის სიმპტომებით. 2020 წლის ივლისში რადიო „აზატლიკი“ (ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული „რადიო თავისუფლების“ თურქმენული სამსახური) აცხადებდა, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის გამო, გვამების გადასატანად პლასტიკური ჩანთების და მანქანების დეფიციტი იყო. ამასთან, საავადმყოფოები გადაიტვირთა დაავადებული პაციენტებით. თურქმენეთში მედიის თავისუფლება არ არსებობს. ყველა ბეჭდური და ელექტრონული მედია კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. უცხოურ მედიას ძალზე იშვიათად შეუძლია თურქმენეთთან წვდომა. თურქმენეთში ინტერნეტი ასევე მკაცრად კონტროლდება. ბევრი ვებ-გვერდი, მათ შორის სოციალური მედია და ე.წ. მესენჯერები დაბლოკილია. მთავრობა აკონტროლებს კომუნიკაციის ყველა საშუალებას[47]. შესაბამისად, თურქმენეთის მთავრობას არ დასჭირვებია რაიმე დამატებითი რეგულაცია კრიტიკული აზრის გასაჩუმებლად.

კოვიდ-19 -თან დაკავშირებული თავისუფალი სიტყვის ცენზურა აზიაში

ირანი - ვირუსის გავრცელებასთან ერთად, ხელისუფლება სწრაფ და აგრესიულ ქმედებებზე გადავიდა, რათა შეეკავებინა დამოუკიდებელი წყაროებიდან გავრცელებული ინფორმაცია, ჟურნალისტებისა და სოციალური მედიის მომხმარებლების შევიწროებით, დაკავებითა და ცენზურით. გამოიცა დირექტივა, რომელიც ავალდებულებდა მედიას, გამოეყენებინათ მხოლოდ ოფიციალური წყაროები და სტატისტიკა ვირუსის შესახებ, ხოლო ჟურნალისტებს მოუწოდეს, თავი აერიდებინათ საგამოძიებო რეპორტაჟების მომზადებისგან და

[45] Human Rights Watch. 2020. Central Asia: Respect Rights in COVID-19 Responses. https://bit.ly/3yWXS0v
[46] International Press Institute. 2020. Tajikistan passes coronavirus “fake news” law. https://bit.ly/3A1BzrG
[47] Human Rights Watch. World Report 2021. Turkmenistan *Events of 2020.* https://bit.ly/3lapfiB

სიუჟეტებში ალტერნატიული წყაროების გამოყენებისგან[48]. ირანის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა 28 აპრილს განაცხადა, რომ 3 600 ადამიანი დააკავეს კორონავირუსის პანდემიის შესახებ „ჭორების გავრცელებისათვის“. ირანის გარეთ, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა და სამთავრობო უწყებებმა, მათ შორის აშშ -ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკრიტიკა თეირანი ჟურნალისტების დევნის გამო[49].

პანდემიის დასაწყისში ირანის კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლო სამუშაო ჯგუფმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც შეჩერდა გაზეთების დაბეჭდვა, მიწოდება და გავრცელება, მიზეზად კი ვირუსის გავრცელების შემცირების აუცილებლობა დასახელდა. პრეზიდენტ ჰასან როუჰანის ადმინისტრაციის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „ირანში ბეჭდურ მედიას შეუძლია გააგრძელოს მუშაობა ინტერნეტში და სოციალურ მედიაში“. თუმცა, როდესაც ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა (CPJ - საერთაშორისო ორგანიზაცია) მიმოიხილა ძირითადი გაზეთების ვებ-გვერდები, ერთადერთი გამოცემა, რომელმაც გამოაქვეყნა სრული ციფრული ვერსია იყო გაზეთი „ირანი“, რომელსაც ზედამხედველობს პრეზიდენტის ოფისი[50].

ერაყი - ერაყმა შეაჩერა საინფორმაციო სააგენტო Reuters -ის ლიცენზია მას შემდეგ, რაც მან გამოაქვეყნა სიუჟეტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ქვეყანაში დადასტურებული კოვიდ-19 -ის შემთხვევების რიცხვი უფრო მაღალია, ვიდრე ოფიციალურად იყო ცნობილი. ერაყის მედიის მარეგულირებლის განცხადებით, მან გააუქმა Reuters -ის ლიცენზია სამი თვით და დააჯარიმა მედიასაშუალება 25 მილიონი დინარით (21 000 აშშ დოლარით). Reuters -ისთვის გაგზავნილ წერილში, კომუნიკაციებისა და მედიის კომისიამ (CMC) თქვა, რომ მან მიიღო ზომები "იმიტომ, რომ ეს საკითხი ხდება მიმდინარე ვითარებაში, რომელსაც სერიოზული გავლენა აქვს საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე". Reuters -ის ინფორმაციაში, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 2 აპრილს, მოხსენიებულია ტესტირების პროცესში ჩართული სამი ექიმი, ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი და პოლიტიკური მაღალჩინოსანი, რომელთა თანახმადაც, იმ დროისთვის ერაყს ჰქონდა ათასობით დადასტურებული კოვიდ-19 -ის შემთხვევა, მრავალჯერ მეტი ვიდრე 772, რომელიც მან საჯაროდ გამოაცხადა[51]. ერაყში გამოვლინდა ჟურნალისტების დაკავების არაერთი ფაქტი[52].

იორდანია - 2020 წლის 15 აპრილის თავდაცვითი ნორმების შესახებ ბრძანებით, ახალი ამბების გაზიარება, რომელიც „პანიკას გამოიწვევდა“ პანდემიის შესახებ მედიაში ან ინტერნეტში, გახდა დასჯადი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან 3 000 იორდანული დინარის ჯარიმით (4 230 აშშ დოლარი), ან ორივე აღნიშნული სანქციით. 17 მარტს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, იორდანიის ხელისუფლებამ დააპატიმრა მედიის ორი ცნობილი წარმომადგენელი, უცხოელი ჟურნალისტი და პარლამენტის ყოფილი წევრი. ასევე, კიდევ სამი ადამიანი "ყალბი ახალი ამბების" გავრცელებისთვის[53]. ამასთან, მთავრობის

---

[48] Mehdi Jedinia. Voice of America. 2020. Iran Uses Arrests, Censorship to Silence Critical COVID-19 Coverage. https://bit.ly/3E4Jw1E

[49] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

[50] Committee to Protect Journalists. 2020. Iran bans printing of all newspapers, citing spread of coronavirus. https://bit.ly/3A4VgPG

[51] France 24. 2020. Iraq suspends Reuters for three months over report on Covid-19 cases. https://bit.ly/3BNjzSy

[52] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

[53] Human Rights Watch. 2020. Jordan: Free Speech Threats Under Covid-19 Response. https://bit.ly/3hgSsrb

გადაწყვეტილებით შეჩერდა ყველა გაზეთის ბეჭდვა და გაყიდვა იმ მიზეზით, რომ თითქოს მათი გავრცელება ხელს უწყობდა ვირუსის შემთხვევების მატებას[54].

პაკისტანი - ხელისუფლებამ გააძლიერა კონტროლი მედიაზე, გაძლიერდა შევიწროება, იძულება და ცენზურა. 2020 წლის სექტემბერში მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა უარყო პრესის დარბევა და თქვა, რომ მას კრიტიკა არ აშინებს. თუმცა, ჟურნალისტები, რომლებიც აქვეყნებდნენ კრიტიკულ სტატიებს, განიცდიდნენ შევიწროებას, დაშინებას, ცენზურას და დაკავებას[55]. 2020 წლის 9 ივლისს, პაკისტანის ეროვნული სარდლობისა და ოპერაციის ცენტრმა (NCOC), კოვიდ-19 -თან გასამკლავებლად შექმნა კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა მინისტრი. ამ კომიტეტს ხელი უნდა შეეშალა სოციალურ მედიაში "დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების" გავრცელებისთვის პანდემიის შესახებ. კომიტეტს დაევალა მოემზადებინა „სამართლებრივ ჩარჩო დეზინფორმაციის თავიდან ასაცილებლად, წინააღმდეგობა გაეწია და შესაბამისი სასჯელი დაეწესებინა მათ მიმართ, ვინც ჩართულია ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში პანდემიის შესახებ". ერთი კვირის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა იჯაზ აჰმად შაჰმა მიმართა ხელისუფლებას, მიეღოთ მკაცრი და დაუყოვნებელი ზომები მათ წინააღმდეგ ვინც ჩართულია კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებაში. შს მინისტრმა განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანია უზრუნველყოს სწორი და სანდო ინფორმაციის მიწოდება პაკისტანელი ხალხისთვის[56].

არაბთა გაერთიანებული საამიროები - არაბთა გაერთიანებული საამიროები აჯარიმებს იმ ადამიანებს 20 000 დირჰამამდე (5 500 აშშ დოლარი), ვინც გააზიარებს სამედიცინო ინფორმაციას კორონავირუსის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება ოფიციალურ განცხადებებს. „აკრძალულია ნებისმიერი ინდივიდის მიერ ისეთი სამედიცინო ინფორმაციის გამოქვეყნება, რეპუბლიკაცია ან გზამკვლევების გავრცელება, რომელიც არის ყალბი, შეცდომაში შემყვანი ან არ გამოცხადებულა ოფიციალურად... ბეჭდური, აუდიოვიზუალური, სოციალური მედიის, ონლაინ ვებ-გვერდების ან გამოქვეყნების სხვა გზების გამოყენებით" - წერდა სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო WAM, მთავრობის დირექტივაზე დაყრდნობით[57].

ინდოეთი - 2020 წლის 10 აპრილს მუმბაიის პოლიციის კომისარმა გამოსცა ბრძანება, რომელიც კრძალავს ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა შეტყობინებებისა და სოციალური მედიის პლატფორმების საშუალებით, რომელიც აღმოჩნდება არასწორი, დამამცირებელი და დისკრიმინაციული კონკრეტული საზოგადოების მიმართ. ასევე, აიკრძალა ფაქტების დამახინჯება, რაც იწვევს პანიკას და დაბნეულობას ფართო საზოგადოებაში. გარდა ამისა, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დანიშნულია როგორც პლატფორმის ადმინისტრატორი, პირადად არის პასუხისმგებელი ინფორმაციაზე, რომელიც ამ პლატფორმაზე გამოქვეყნდება და ჩაითვლება როგორც - ყალბი[58].

2020 წლის აპრილის განმავლობაში ინდოელი ჟურნალისტების პოლიციისა და სასამართლო შევიწროების საგანგაშო 15 შემთხვევა დაფიქსირდა. კოვიდ-19 -ის კრიზისის საბაბით, მაუწყებელ ჟურნალისტთა შევიწროების მაგალითი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ

---

[54] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw
[55] Amnesty International. Pakistan 2020. https://bit.ly/3l21JnS
[56] The Law Library of Congress, Global Legal Research Directorate. 2020. Freedom of Expression during COVID-19. https://bit.ly/3hkadWv
[57] ALJAZEERA. 2020. UAE announces $5,500 fine for coronavirus fake news. https://bit.ly/3ttq9dY
[58] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

ბიჰარში, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბრალი დასდო ჟურნალისტ გულშან კუმარ მითოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. მითომ უბრალოდ ისაუბრა იმ ადამიანების საჩივრების შესახებ, რომლებიც მოათავსეს საკარანტინო ცენტრში. ისინი ამბობდნენ, რომ რვა დღის განმავლობაში არ ჰქონდათ „სათანადო კვება“. მეზობელი შტატის უტარ პრადეშის მთავარმა მინისტრმა შეიტანა საჩივარი რავინდრა საქსენაზე, საინფორმაციო ვებ-გვერდის Today 24 -ის რეპორტიორზე (კატასტროფების მართვის კანონისა და დანაშაულებების პრევენციის აქტის შესაბამისად) ვიდეოს გავრცელების გამო, რომელშიც საკარანტინო ცენტრში მოთავსებული ადამიანები აცხადებდნენ, რომ მათ ჭამეს "დამპალი ბრინჯი". სულ მცირე ექვსი ჟურნალისტი დააპატიმრეს 2020 წლის აპრილის ბოლო კვირას ჩრდილო-დასავლეთ ჰიმაჩალ პრადეშში, კორონავირუსის ე.წ. „ლოქდაუნის“ ადამიანებზე გავლენის გაშუქებისთვის. იმავე კვირაში კიდევ ერთი ჟურნალისტი დააკავეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე. ეს იყო ყოველკვირეული The Light of Andaman -ის რედაქტორი, რომელიც დააპატიმრეს რამდენიმე ბრალდებით ერთი ტვიტისთვის. აღნიშნული ტვიტი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მთელი ოჯახის კარანტინში ჩასმას, იმის გამო, რომ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა დაურეკა ნათესავს, რომელიც კოვიდ-დადებითი იყო[59].

ბანგლადეში - ფაქტობრივად პანდემიის გამოცხადებისთანავე, ბანგლადეშის ხელისუფლებამ დააკავა ექიმები, აქტივისტები და სტუდენტები ფეისბუქზე "ჭორების გავრცელებისა" და "დეზინფორმაციის" გამო, მას შემდეგ რაც გამოაქვეყნეს პოსტები, რომლებიც აკრიტიკებდნენ მთავრობის რეაგირებას კოვიდ-19 -ზე. დაპატიმრებების უმეტესობა ემყარებოდა 2018 წლის ციფრული უსაფრთხოების აქტს. ინფორმაციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მან ჩამოაყალიბა დანაყოფი სწრაფი მოქმედების ბატალიონის (RAB) ქვეშ (ქვეყნის მთავარი კონტრტერორისტული დანაყოფი) სოციალური მედიისა და სხვადასხვა ტელევიზიის მონიტორინგისთვის ვირუსის შემთხვევებთან დაკავშირებით „ჭორების“ მოსაძებნად. RAB დიდი ხანია ბრალდებულია ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევაში, მათ შორის მკვლელობებში, წამებაში. არაერთ მოქალაქეს ბრალი წაუყენეს ციფრული უსაფრთხოების აქტის (DSA) სხვადასხვა ნაწილებით. ამ აქტის 21 -ე ნაწილით კრიმინალიზებულია "ნებისმიერი პროპაგანდა ან კამპანია" განმათავისუფლებელი ომის წინააღმდეგ, ასევე "ერის მამის, ეროვნული ჰიმნის ან ეროვნული დროშის" წინააღმდეგ და ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობას. 25 -ე ნაწილით კრიმინალიზებულია "შეურაცხმყოფელი ან შიშის გამომწვევი" ინფორმაციის ან ნებისმიერი შინაარსის "ერის იმიჯის შემლახავი" გამოქვეყნება, რაც ითვალისწინებს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. 31 -ე ნაწილით კრიმინალიზებულია ნებისმიერი შინაარსის გამოქვეყნება, რომელიც არღვევს „საზოგადოებრივ ჰარმონიას“ ან „ემუქრება კანონსა და წესრიგს“, რაც ითვალისწინებს 10 წლამდე სასჯელს[60]. მთავრობამ ასევე გამოაქვეყნა ცირკულარი, რომელიც უკრძალავს მის ყველა თანამშრომელს გამოაქვეყნონ, მოიწონონ, გააზიარონ ან გააკეთონ კომენტარი რაიმე შინაარსზე, რამაც შეიძლება „შელახოს სახელმწიფოს იმიჯი“. ამასთან, 2020 წლის 9 აპრილის მთავრობის დირექტივით, მედია არ მოხვდა იმ საგანგებო სამსახურების სიაში, რომლებიც გათავისუფლებულნი იყვნენ ე.წ. „ლოქდაუნის“ შეზღუდვებისგან[61].

---

[59] Reporters Without Borders. 2020. Surge in harassment of Indian reporters over coronavirus coverage. https://bit.ly/3E2GISH

[60] Human Rights Watch. 2020. Bangladesh: Mass Arrests Over Cartoons, Posts. https://bit.ly/3A51kYs

[61] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

შრი ლანკას გენერალურმა ინსპექტორმა პოლიციას უბრძანა დაეკავებინათ ისინი, ვინც „აკრიტიკებდნენ“ კორონავირუსის რეაგირებაში ჩართულ ჩინოვნიკებს, ან აზიარებდნენ პანდემიის შესახებ "ყალბ" ან "მავნე" შეტყობინებებს. ბრძანების თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 1 აპრილს, ჩინოვნიკები „ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შეაჩერონ კოვიდ-19 -ის გავრცელება“, მაგრამ „ამ თანამდებობის პირებს აკრიტიკებენ და „ლანძღავენ“, რითაც „მნიშვნელოვნად აფერხებენ“ მათ საკუთარი მოვალეობის შესრულებისას. შრი ლანკელების შეშფოთებას იწვევდა ის, რომ მათი უფლებები დაცული არ იქნებოდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა არმიის უფროსს დაავალა უხელმძღვანელოს კორონავირუსზე რეაგირებას. გენერალ შავენდრა სილვას მიმართ, რომელიც დაინიშნა კოვიდ-19 -ის გავრცელების პრევენციის ეროვნული საოპერაციო ცენტრის ხელმძღვანელად, შრი-ლანკას სამოქალაქო ომის დროს ჩადენილი სამხედრო დანაშაულების საფუძვლიანი ბრალდებები არსებობს[62].

ინდონეზია - პოლიციის უფროსმა გამოაქვეყნა შიდა მემორანდუმი, რომელიც პოლიციას აძლევს მითითებებს, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს კიბერდანაშაულებს კოვიდ-19 -ის პანდემიის დროს. პოლიცია ირწმუნებოდა, რომ ვინც შეურაცხყოფს პრეზიდენტს და სხვა მაღალჩინოსნებს კოვიდ-19 -ის პოლიტიკასთან დაკავშირებით, დაედება ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 207 -ე მუხლით (ერთნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა) და ვინც ავრცელებს ცრუ ინფორმაციას მთავრობის პოლიტიკაზე ეპიდემიის მართვისას, დაექვემდებარება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებს (მაქსიმალური სასჯელი 10 წლით თავისუფლების აღკვეთა). პოლიციამ ამ ბრალდებით არაერთი ადამიანი დააკავა[63].

მიანმარი - 2020 წლის 19 -დან 31 მარტამდე პერიოდში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტრომ გასცა დირექტივები მიანმარის მსხვილ სატელეკომუნიკაციო კომპანიებზე, რომელთა თანახმადაც, სამინისტროს საშუალება აქვს შეასრულოს შემზღუდველი ქმედებები "საგანგებო სიტუაციების" დროს. სატელეკომუნიკაციო კომპანიებს დაევალათ, დაებლოკათ თითქმის 70 ვებ-გვერდზე წვდომა იმ მტკიცების საფუძველზე, რომ ისინი ავრცელებენ "ყალბ ამბებს" პანდემიის გარშემო. ამ ფაქტს მწვავე კრიტიკა მოჰყვა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან. მიანმარის ხელისუფლებამ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო რამდენიმე პირის მიმართ, მათ შორის, უფლებადამცველების და ჟურნალისტების ჩათვლით, რომლებმაც გააკრიტიკეს მთავრობის რეაგირება კოვიდ-19 -ზე ან გააზიარეს ინფორმაცია ვირუსის შესახებ. ისინი დაკავებულნი იყვნენ სხვადასხვა ბრალდებით (დეზინფორმაციის გავრცელება, ცილისწამება, აჯანყება, „საზოგადოებაში შიშის ან განგაშის გამოწვევა“) მიანმარის სისხლის სამართლის კოდექსის, ტელეკომუნიკაციების აქტის ან ბუნებრივი კატასტროფების მართვის კანონის სხვადასხვა დებულებების საფუძველზე[64].

ტაილანდი - ხელისუფლების დადგენილებით, სხვა საკითხებთან ერთად, აიკრძალა „ინფორმაციის გავრცელება კოვიდ-19 -ის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს და შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების შიში, ასევე ინფორმაციის განზრახ დამახინჯება, რაც იწვევს გაუგებრობას და, შესაბამისად, გავლენას ახდენს მშვიდობასა და წესრიგზე ან

[62] Meenakshi Ganguly. Human Rights Watch. 2020. Sri Lanka Uses Pandemic to Curtail Free Expression. https://bit.ly/3nhq2kx
[63] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw
[64] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

საზოგადოებრივ მორალზე“. დადგენილებამ უფლებამოსილება მისცა ხელისუფლებას, უბრძანოს ჟურნალისტებს და მედია ჯგუფებს, შეასწორონ არასწორი შეფასებები. ასევე, გარკვეული დარღვევებისათვის დაწესდა ხუთ წლიანი პატიმრობა. ტაილანდში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის მამხილებლების და ონლაინ ჟურნალისტების წინააღმდეგ აღიძრა სხვადასხვა ტიპის საქმეები. ასევე, ისინი გახდნენ ხელისუფლების მხრიდან დაშინების მსხვერპლნი, მას შემდეგ, რაც გააკრიტიკეს მთავრობის პასუხები ეპიდემიაზე, გამოთქვეს შეშფოთება სტატისტიკის შესაძლო დაფარვის შესახებ და გამოააშკარავეს სავარაუდო კორუფციის ფაქტები ჯანდაცვის სისტემაში. სამედიცინო პერსონალს ასევე ემუქრებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობა (მათ შორის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და ლიცენზიის გაუქმება) ქვეყნის მასშტაბით საავადმყოფოებში აუცილებელი მარაგის მწვავე დეფიციტზე საუბრის გამო[65].

ვიეტნამი - ადამიანებს, რომლებიც ვიეტნამში აქვეყნებენ ყალბ ამბებს სოციალურ მედიაში, ემუქრებათ ჯარიმა, რათა შეჩერდეს როგორც ზოგადი დეზინფორმაციის, ასევე სიცრუის გავრცელება ახალი კორონავირუსის შესახებ. კანონი, რომელიც 2020 წლის 15 აპრილს ამოქმედდა, აჯარიმებს ადამიანებს, რომლებიც „აქვეყნებენ ან აზიარებენ ყალბ ახალ ამბებს ონლაინ“, 10 -დან 20 მილიონ ვიეტნამურ დოლარამდე (425-850 აშშ დოლარი). ხელისუფლებას ასევე შეუძლია აიძულოს მომხმარებელი, წაშალოს პოსტი. ვიეტნამის კანონი კიბერუსაფრთხოების შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2019 წლის იანვარში, უკვე კრძალავდა ყალბი ახალი ამბების გავრცელებას, მაგრამ არ განსაზღვრავდა კონკრეტულ ჯარიმებს. მთავრობის განმარტება ყალბი ამბების შესახებ მოიცავს არა მხოლოდ პოსტებს, რომლებიც შეიცავს არასწორ ან მანიპულირებულ ინფორმაციას, არამედ ვრცელდება კომპანიებისა და ორგანიზაციების რეპუტაციის შელახვაზე და ინდივიდების "ღირსებისა და პატივის" შელახვაზე. განკარგულება ასევე მოიცავს "ხალხში დაბნეულობის გამოწვევის", ძალადობის წახალისების, აზარტული თამაშების პოპულარიზაციის და ა.შ. აკრძალვასაც. ამ დებულებების გამოყენებით, მთავრობის ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტმა მოკლე პერიოდში ასობით ჯარიმა დააკისრა იმ პირებს, ვინც ვირუსის გავრცელების შესახებ „არასწორი ინფორმაცია“ გაავრცელა[66].

კამბოჯა - Human Rights Watch -მა დააფიქსირა 17 ადამიანის დაკავება 2020 წლის იანვრის ბოლოდან აპრილამდე კამბოჯაში კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის გაზიარების გამო. ხელისუფლებამ ასევე დააკავა და დაკითხა 14 წლის გოგონა, რომელმაც სოციალური მედიის საშუალებით გამოხატა შიში მის სკოლაში და პროვინციაში კოვიდ-19 -ის გახშირებული შემთხვევების შესახებ. 12 ადამიანი პატიმრობიდან მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ხელი მოაწერეს დაპირებას, რომ მომავალში არ გაავრცელებდნენ "ყალბ ამბებს" და ბოდიშს მოიხდიდნენ. ერთ-ერთ ჟურნალისტს მიესაჯა პატიმრობა სხვა ადამიანების დანაშაულში წაქეზებისთვის - სოციალურ მედიაში კოვიდ-19 -ზე მთავრობის პასუხის გაკრიტიკების გამო. ერთ-ერთი ონლაინ გამომცემლობის ჟურნალისტი დააპატიმრეს და ბრალი წაუყენეს დანაშაულის ჩადენისთვის მას შემდეგ, რაც გააკრიტიკა მთავრობის მიერ ჩინური სინოფარმისა და სინოვაკის ვაქცინების გამოყენება Facebook -ზე[67].

---

[65] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

[66] Robbie Harb. The Register. 2020. Vietnam bans posting fake news online (About coronavirus or anything else). https://bit.ly/3hi5YuG

[67] Human Rights Watch. 2020. Cambodia: COVID-19 Clampdown on Free Speech. https://bit.ly/3lbulLA

ფილიპინები - 2020 წლის 24 მარტს პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ითვალისწინებს "ყალბი ინფორმაციის" გავრცელებისთვის ორი თვით თავისუფლების აღკვეთას და 1 მილიონი პესოთი (19 600 აშშ დოლარი) დაჯარიმებას. ეროვნულმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიყენა კოვიდ-19 და არსებული კანონმდებლობა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც აკრიტიკებდნენ მთავრობის რეაგირებას კორონავირუსის გავრცელებაზე. პანდემიის საწყის ეტაპზევე გამოძიების ეროვნულმა ბიურომ (NBI) დაიწყო სამართლებრივი ქმედება 17 ადამიანის წინააღმდეგ, სავარაუდოდ, ინტერნეტში „ცრუ ინფორმაციის“ განთავსებისთვის, დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს მკაცრ ჯარიმებს. ადამიანის უფლებათა დაცვის იურისტმა ხოსე მანუელ დიოკნომ Twitter -ზე დაწერა, რომ NBI -ის მიერ გამოძახებული იქნა მისი კრიტიკული პოსტებისათვის Facebook -ზე, კოვიდ-19 -ის შესახებ კანონის თანახმად. „ეს გახდა შემაშფოთებელი ტენდენცია, რადგან მთავრობისთვის ადვილია წაშალოს ზღვარი ლეგიტიმურ კრიტიკასა და „ყალბ ამბებს“ შორის“, - განუცხადა დიოკნომ Human Rights Watch -ს[68].

პანდემიის თანმხლები სიტყვის თავისუფლების კრიზისი აფრიკის ქვეყნებში

ალჟირი - 2020 წლის 29 აპრილს, ალჟირის მთავრობამ პრეზიდენტ თებუნეს მეთაურობით, დაამტკიცა კანონპროექტი, რომელმაც შეცვალა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი და მოახდინა ყალბი ამბების გავრცელების კრიმინალიზაცია. ცვლილებების თანახმად, კოვიდ-19 -ის ე.წ. „ლოქდაუნის“ წესების დარღვევა და ეპიდემიის შესახებ ისეთი ყალბი ამბების გავრცელება, რომელიც „ეროვნულ ერთიანობას საფრთხეს შეუქმნიდა“, დასჯადი გახდა. მსგავსი „დარღვევა“ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ორიდან ხუთ წლამდე და ჯარიმას 100 000 -დან 500 000 ალჟირურ დინარამდე (778 -დან 3 891 აშშ დოლარამდე). აღსანიშნავია, რომ ეს რეგულაცია თანაბრად ეხებოდა საინფორმაციო გამოშვებებს, სოციალურ ან სხვა ტიპის მედიას. გარდა ამისა, ჯარიმები უფრო დიდია იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ხდება „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ე.წ. „ლოქდაუნის“ დროს ან ბუნებრივი, ბიოლოგიური ან ტექნოლოგიური კატასტროფის ან რაიმე სხვა სახის კატასტროფის პერიოდში“ და ბრალდებულებს ემუქრებათ ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა[69]. ცენზურის დაკანონების პარალელურად, ალჟირის მთავრობა არ ერიდებოდა ხისტ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს და ფაქტობრივად პანდემიის დაწყებისთანავე დაბლოკა რამდენიმე მედიასაშუალების ვებ-გვერდი „ყალბი ამბების“ გავრცელების ბრალდებით (მაგ. The Interlignes, Maghreb Emergent და Radiom). სამივე ვებ-გვერდი აქტიურად აშუქებდა ალჟირში კოვიდ-19 -ის ეპიდემიასა და ანტი-სამთავრობო საპროტესტო აქციებს[70].

ეგვიპტე - ეგვიპტის პარლამენტმა 2020 წლის 22 აპრილს დაჩქარებული წესით დაამტკიცა მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები 1958 წლის საგანგებო კანონში, რომლითაც დამატებით ფართო უფლებამოსილება მიეცა პრეზიდენტ ალ-სისის და უსაფრთხოების სააგენტოებს. მთავრობამ თქვა, რომ ცვლილებები ეხებოდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

[68] Carlos H. Conde. Human Rights Watch. 2020. Philippine Authorities Go After Media, Online Critics. https://bit.ly/3hfh03C
[69] Committee to Protect Journalists. 2020. Algeria blocks 3 news websites and criminalizes false news. https://bit.ly/3tsKi3V
[70] Reporters Without Borders. 2020. “Fake news” bill will tighten gag on press freedom in Algeria. https://bit.ly/3CcXMEb

საგანგებო სიტუაციებს, როგორიცაა კოვიდ-19 -ის აფეთქება. თუმცა, 18 ცვლილებიდან მხოლოდ 5 იყო აშკარად დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მართვასთან. ამდენად, ხელისუფლებამ მიიღო შესაძლებლობა განახორციელოს ზომები ყოველთვის, როდესაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისიდან გამომდინარე. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ეგვიპტე ცხოვრობს საგანგებო მდგომარეობის პირობებში ფაქტობრივად ბოლო 40 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში მთავრობებმა იგნორირება გაუკეთეს კანონის რეფორმირების მოწოდებებს და გამოიყენეს იგი მშვიდობიანი განსხვავებული აზრის გასანადგურებლად[71].

კოვიდ-19 -ის ჯანმრთელობის კრიზისის დროს დაპატიმრებების ტალღამ აჩვენა, რომ ჟურნალისტები, ექიმები და სოციალური მედიის მომხმარებლები უსამართლოდ იყვნენ დადანაშაულებულნი პანდემიის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებაში. სახელმწიფომ მონოპოლიზება გაუკეთა ტერმინს "რეალური ამბები", რაც სარწმუნო ინფორმაციად მიიჩნევს მხოლოდ ხელისუფლების მიერ გაცემულ სიახლეებს. არასამთავრობო ორგანიზაციათა საერთაშორისო გაერთიანების, IFEX -ის მიხედვით, აქტიურად ამოქმედდა 2018 წლის აგვისტოში მიღებული კანონი სოციალური მედიის მომხმარებლების წინააღმდეგ. 2018 წლიდან ეგვიპტის კანონი ხელისუფლებას საშუალებას აძლევს ცენზურის ქვეშ მოაქციოს ონლაინ მედიასაშუალებები და პირადი სოციალური ანგარიშები, რომელთაც 5 000 -ზე მეტი მიმდევარი ჰყავთ. პანდემიის დასაწყისშივე, 500 -ზე მეტი ვებ-გვერდი, მათ შორის რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს (RSF) ჩათვლით, დაიბლოკა „ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის[72]“.

მაროკო - 2020 წლის 23 მარტის განკარგულება საშუალებას მთავრობას აძლევს მთავრობას გამოაცხადოს "საგანგებო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობა" და მიიღოს განსაკუთრებული ზომები დაავადების გავრცელების შესაჩერებლად. ყველას, ვინც არღვევს განკარგულებას, ან სხვებს უბიძგებს არ დაემორჩილონ მას, საჯარო ადგილას ან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვით ან მუქარით, წერილობითი ან დაბეჭდილი მასალებით, ფოტოებით, პლაკატებით, აუდიოვიზუალური ან ელექტრონული კომუნიკაციით, ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, ემუქრება პატიმრობა ერთიდან სამ თვემდე ან ჯარიმა 300 -დან 1 300 დირჰამამდე ($30 - $130)[73].

ეთიოპია - ეთიოპიის მთავრობამ გამოიყენა კოვიდ-19 -ის შეზღუდვები და საგანგებო მდგომარეობა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საბაბად. მიღებული იქნა სპეციალური კანონი დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიზნით, რომელიც ძალაში შევიდა 23 მარტს და შეიცავს დეზინფორმაციის ფართომასშტაბიან განმარტებას, რომელიც აძლევს ხელისუფლებას გადაჭარბებულ დისკრეციას, რომ არაპოპულარული ან საკამათო მოსაზრებები "მცდარად" გამოაცხადოს. კანონი ასევე თვითნებურად აწესებს უფრო მკაცრ ჯარიმებს სოციალური მედიის მომხმარებლებისთვის, რომლებსაც ჰყავთ 5 000 -ზე მეტი მიმდევარი. გასული ათწლეულის განმავლობაში Human Rights Watch -მა დააფიქსირა ეთიოპიის მთავრობის განმეორებითი გამოყენება ფართო ინტერპრეტირებადი და ცუდად გააზრებული კანონების ჩათვლით. ხელისუფლებამ თვითნებურად დააკავა და გაასამართლა მრავალი ჟურნალისტი, პოლიტიკური

[71] Human Rights Watch. 2020. Egypt: Covid-19 Cover for New Repressive Powers. https://bit.ly/38YDRMx
[72] The global network Defending and Promoting Free Expression (IFEX). 2021. Egypt: Fake news and Coronavirus trials. https://bit.ly/2XbefcM
[73] International Center for Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

ოპოზიციის წევრი და აქტივისტი[74]. ეთიოპიის პრემიერ-მინისტრმა 2020 წლის 8 აპრილს გამოაცხადა ხუთთვიანი საგანგებო მდგომარეობა. ყველას, ვინც არღვევდა საგანგებო შეზღუდვებს, ემუქრებოდა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა 200 000 ბირამდე (6 149 აშშ დოლარი). ასევე აიკრძალა რეგიონული ან ფედერალური ჩინოვნიკების მიერ პრესისთვის განცხადებების გაკეთება კოვიდ-19 -ის შესახებ, ზემდგომი ორგანოების ნებართვის გარეშე. აიკრძალა ინფორმაციის გავრცელება კოვიდ-19 -ისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რასაც შეეძლო გამოეწვია „ტერორი და საზოგადოების ზედმეტი დისკომფორტი[75]“.

ტანზანია - 2020 წლის 16 მარტს, მთავრობამ უარყო პანდემიის სიმძიმე, შეაჩერა მედია გამომცემლობები და კოვიდ-19 -თან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების კრიმინალიზაცია მოახდინა. გარდა ამისა, გაეროს ექსპერტების ჯგუფმა აღნიშნა, რომ მთავრობა არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს ინფორმაციის გაზიარებისა და გამჭვირვალობის შესახებ, მას შემდეგ, რაც მან შეწყვიტა სტატისტიკის გამოქვეყნება ვირუსის შემთხვევებზე. მარტის ბოლოს, ტანზანიის პრეზიდენტმა მოუწოდა ხალხს, გაეგრძელებინათ რელიგიური ადგილების მონახულება და ლოცვა, ვირუსი შეადარა ბიბლიურ სატანას და თქვა, რომ ის "ვერ გადარჩება იესო ქრისტეს სხეულში". 2020 წლის ივლისში მთავრობამ მიიღო ახალი რეგულაციები ელექტრონულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით. ისინი მოითხოვენ ბლოგერების, ონლაინ სადისკუსიო ფორუმების, რადიო და ტელევიზიის ვებ-გვერდების რეგისტრაციას. ამასთან, დაწესდა შინაარსობრივი შეზღუდვებიც ინფორმაციის გავრცელების პრაქტიკულად ყველა საშუალებისთვის. მთავრობამ ასევე გამოიყენა პანდემიის წინამორბედი კანონები ადამიანების დაშინების, დაპატიმრებისა და დაკავების მიზნით, რათა ჩაეხშო ის ინფორმაცია, რაც მის მიერ აღიქმებოდა როგორც კოვიდ-19 -ის შესახებ „ყალბი ცნობა“. მთავრობამ გამოაქვეყნა კვალიფიცირებული პირების სია, ვისაც უფლება ჰქონდა გაეთვიცნობიერებინა საზოგადოება ვირუსის შესახებ და მიმართა ყველა მედიასაშუალებას, ინფორმაცია მხოლოდ სიაში მყოფი პირებისგან მოეპოვებინათ. აღირიცხა მოქალაქეთა დაპატიმრების, დევნის და მედიის სახლების შევიწროების ფაქტები, რომელთაგან ზოგიერთს ლიცენზია შეუჩერდა[76].

ბოტსვანა - საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებით, ბოლო წლების განმავლობაში ბოტსვანაში საფრთხის ქვეშ დადგა პოზიტიური ძვრები დემოკრატიის კუთხით. კოვიდ-19 -ის პანდემიამ გამოიწვია ძალაუფლების კიდევ უფრო მეტი ცენტრალიზაცია - პარლამენტმა 2020 წლის აპრილის დასაწყისში მიიღო საგანგებო კანონპროექტი, რომელიც ბოტსვანას პრეზიდენტს აძლევდა ყოვლისმომცველ უფლებამოსილებას განკარგულებებით ემართა საგანგებო მდგომარეობის ექვსთვიანი პერიოდი. პრეზიდენტის საგანგებო უფლებამოსილების საგანგაშო დებულებას წარმოადგენდა ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან 10 000 აშშ დოლარი ჯარიმა ყველასთვის, ვინც გამოაქვეყნებდა ინფორმაციას „საზოგადოების მოტყუების მიზნით“ კოვიდ-19 -ის შესახებ, ან ვირუსის წინააღმდეგ მთავრობის მიერ მიღებული ზომების კრიტიკას. კრიტიკოსების მოსაზრებით, აღნიშნული ბრძანება - ბუნდოვანი განმარტებებით - იყო საჩუქარი ავტორიტარული ლიდერებისთვის, რომელთაც სურთ გამოიყენონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისი სიტყვის თავისუფლების აღსაკვეთად. საგანგებო უფლებამოსილების კანონმა დიდი წნეხის ქვეშ მოაქცია მედია, რადგან ჟურნალისტებს აეკრძალათ გამოეყენებინათ პანდემიის შესახებ „წყარო(ები) გარდა ჯანდაცვის

[74] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw
[75] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw
[76] Promoting Effective and Inclusive ICT Policy in Africa (CIPESA). 2020. Tanzania Tramples Digital Rights in Fight Against Covid-19. https://bit.ly/2X3n5Jm

სერვისების დირექტორისა ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა“. სხვა შემთხვევაში კი, მათ პოტენციურად 10 000 აშშ დოლარის ჯარიმა ან ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრებოდათ[77].

ზიმბამბვე - 2020 წლის 30 მარტს ძალაში შევიდა ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებულება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (კოვიდ-19 -ის პრევენცია, შეზღუდვა და მკურნალობა) შესახებ (საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე). ბრძანებულების თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც აქვეყნებს ან ავრცელებს „ყალბ ამბებს“ ოფიციალური პირის შესახებ, რომელიც მონაწილეობს ეროვნული ჩაკეტვის აღსრულებაში და ამ ქმედების გამო საგანგებო მდგომარეობის აღსრულებას ზიანი მიადგება, დაეკისრება მკაცრი ჯარიმა ან 20 წლამდე პატიმრობა, ან ორივე ერთად[78].

სამხრეთ აფრიკა - სამხრეთ აფრიკის მთავრობამ მიიღო ახალი რეგულაციები, რომლითაც კრიმინალიზებული გახდა განცხადებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ნებისმიერი ადამიანის შეცდომაში შეყვანას ვირუსის შესახებ ან მთავრობის მიერ პანდემიაზე რეაგირების შესახებ. ცვლილებები გამოქვეყნდა მთავრობის 2002 წლის კატასტროფის მართვის აქტში და ითვალისწინებს ჯარიმებს, თავისუფლების აღკვეთას ან ორივე ზომას ერთად. აღნიშნულ ფაქტს მწვავე შეფასება მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოების მიერ. „პანდემია სერიოზულად უნდა იქნას მიღებული, მაგრამ კანონების მიღება, რომელიც ახდენს დეზინფორმაციის კრიმინალიზაციას, საშიშ ტენდენციას წარმოშობს და არასწორ შეტყობინებას უგზავნის სხვა ქვეყნებს, რომლებმაც შეიძლება კიდევ უფრო ნაკლები პასუხისმგებლობით იმოქმედონ ამგვარი კანონების შემუშავებისას“. ამის შესახებ CPJ აფრიკის პროგრამის კოორდინატორმა ანგელა კვინტალმა განაცხადა. „სამხრეთ აფრიკის პოსტ-აპარტეიდის ვალდებულება ინფორმაციის დეკრიმინალიზაციის შესახებ იყო შუქურა აფრიკის მასშტაბით პრესის თავისუფლებისთვის, მაგრამ ამ ახალმა რეგულაციებმა შეიძლება გააუფერულოს ეს მიღწევა, რაც გახსნის კანონის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას“.[79]

ინფორმაციის ცენზურის ფაქტები ამერიკის კონტინენტის რიგ ქვეყნებში

ჰაიტი - 2020 წლის 21 მაისს, როდესაც ინფიცირების მაჩვენებლები გაიზარდა, გამოცხადდა ახალი ზომები ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. მთავრობის დადგენილება მოიცავდა ზომებს, რომლებიც სოციალურ დისტანციასთან არაფერ შუაში იყო. მაგალითად, აიკრძალა პაციენტების ფოტოების ან ვიდეოების გადაღება და გაზიარება მათი ნებართვის გარეშე. ასევე, მკაცრად აიკრძალა სოციალურ მედიაში იმ ადამიანების სურათების გაზიარება, რომლებიც გარდაიცვალნენ კოვიდ-19 -ით. ამ დარღვევისთვის თითქმის 200 აშშ დოლარის ჯარიმა ან 15 დღიანი პატიმრობა დაწესდა. მთავრობის წარმომადგენელმა CNN -ს განუცხადა, რომ წესები მიზნად ისახავს კორონავირუსული პაციენტების „სტიგმატიზაციის“ თავიდან აცილებას. თუმცა, სამოქალაქო უფლებების დამცველებმა გააკრიტიკეს განკარგულება,

[77] Joel Konopo. Mail and Guardian. 2020. Censorship, the unexpected side-effect of Covid-19. https://bit.ly/2X06hTz
[78] SI 2020-083 Public Health (COVID-19 Prevention, Containment and Treatment) (National Lockdown) Order 2020. https://bit.ly/3njqte5
[79] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

როგორც საფრთხე ჰაიტის დემოკრატიისთვის, ახალი ამბებისა და ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვის კონტექსტში[80].

ვენესუელა - მთავრობამ 2020 წლის 13 მარტს გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და 17 მარტს დააწესა ქვეყნის მასშტაბით კარანტინი, რომელმაც შეზღუდა გადაადგილება და შეაჩერა ყველა ტიპის ბიზნესის მუშაობა, გარდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტებისა. საგანგებო მგდომარეობას ახორციელებდა პოლიცია, შეიარაღებული ძალები, სპეცრაზმი და შეიარაღებული პრო-სამთავრობო ბანდები, რამაც გამოიწვია თვითნებური დაპატიმრებები და შევიწროება. ვენესუელას ხელისუფლებამ ჩაახშო და სათანადოდ არ შეაგროვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონაცემები, რაც გამოავლენდა კრიზისის მასშტაბს. 17 მარტს ოპოზიციის მეთაურობით ეროვნულმა ასამბლეამ გამოაცხადა, რომ შექმნა კოვიდ-19 -ის შესახებ ცნობიერების ვებ-გვერდი, coronavirusvenezuela.info. თუმცა, სახელმწიფო ინტერნეტ პროვაიდერმა CANTV -მა აღნიშნული ვებ-გვერდი დაბლოკა. იგივე გააკეთეს კერძო ინტერნეტ პროვაიდერებმა. ასევე, შეიზღუდა სხვადასხვა ვებ-გვერდზე წვდომაც, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ოპოზიციასთან. ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები ავიწროვებდნენ მათ, ასევე ჯანდაცვის პროფესიონალებს ან აქტივისტებს, რომლებმაც ღიად გააკრიტიკეს მთავრობის რეაგირების ფორმები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისზე. ჯანდაცვის პროფესიონალებს ემუქრებოდნენ და უთვალთვალებდნენ დაზვერვის აგენტები. ზოგიერთმა ექიმმა, რომლებიც მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში, განაცხადა, რომ ხელისუფლებამ დააკავა და აუკრძალა მათ ჯანდაცვის მდგომარეობის შესახებ საჯაროდ საუბარი. Espacio Público, არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც აღრიცხავს თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის ფაქტებს ვენესუელაში, დააფიქსირა 40 ადამიანის დაკავება 2020 წლის მაისის მდგომარეობით. მათ შორის იყო მედიის 17 წარმომადგენელი. პრესის წარმომადგენელთა ეროვნულმა კავშირმა დააფიქსირა 22 თვითნებური დაპატიმრება და ჟურნალისტების შევიწროებისა და/ან დაშინების 21 შემთხვევა 16 მარტიდან 3 მაისის ჩათვლით[81].

ბოლივია - 2020 წლის 25 მარტს ბოლივიის დროებითმა პრეზიდენტმა ჟანინ აიესმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც, სხვა საკითხებთან ერთად, კრიმინალიზებულია პანდემიის შესახებ "მოსახლეობისთვის დეზინფორმაციის მიწოდების [ან] გაურკვევლობის გამომწვევი" ქმედება. ბრძანება, რომელიც ეხებოდა კოვიდ-19 -ის საწინააღმდეგო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას, მოიცავდა ძალიან ფართო დებულებას, რომლის მიხედვითაც ფაქტობრივად ხელისუფლებას მიეცა უფლება იმ პირების გასამართლებისა, ვინც გააკრიტიკებდა მთავრობის პოლიტიკას - განაცხადა Human Rights Watch -მა 2020 წლის 7 აპრილს. კერძოდ, განკარგულების თანახმად, „პირები, რომლებიც ხელს უწყობენ ბრძანების შეუსრულებლობას, დეზინფორმაციას ან იწვევენ მოსახლეობის გაურკვევლობას, ექვემდებარებიან სისხლის სამართლის ბრალდებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის“. დადგენილება არ აკონკრეტებს, რა ქმედებები ან განცხადებები უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც "დეზინფორმაცია" ან ქმედებები, რომლებიც "იწვევს გაურკვევლობას მოსახლეობაში". 18 მარტს შინაგან საქმეთა მინისტრმა არტურო მურილიომ უბრძანა შეიარაღებულ ძალებს და პოლიციას, ეწარმოებინათ „კიბერპატრულირება“ ინტერნეტში და დაედგინათ ისინი, ვინც კორონავირუსის შესახებ

[80] Chandler Thornton and Etant Dupain. CNN. 2020. As Covid-19 cases rose, Haiti banned photos of the dead from social media. https://cnn.it/3nlui2G

[81] Human Rights Watch. 2020. Venezuela: Urgent Aid Needed to Combat Covid-19. https://bit.ly/3BVOfRC

საზოგადოებას „დეზინფორმაციას აწვდიდნენ“ და განაცხადა, რომ მთავრობა მათ დასჯის. 27 მარტს, საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრმა ივან არიასმა განაცხადა, რომ ისინი, ვინც სოციალურ მედიაში გამოაქვეყნებენ „ცრუ ინფორმაციას“, 10 წლით დაპატიმრებულნი იქნებიან და წაიყვანენ საავადმყოფოებში, რათა იზრუნონ კოვიდ-19 -ით ინფიცირებულ პაციენტებზე[82].

არგენტინა - დეზინფორმაციასთან ბრძოლის მოტივით, არგენტინამ გამოიყენა ე.წ. „კიბერ პატრულირება“ ონლაინ სივრცეში. უშიშროების მინისტრმა საბინა ფრედერიკმა 15 აპრილს განაცხადა, რომ უსაფრთხოების ძალები ახორციელებენ „კიბერ პატრულებას“ სოციალურ ქსელებში. კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციის აღსაკვეთად „კიბერ პატრულმა“ აწარმოა სულ მცირე 12 სისხლის სამართლის საქმე იმ პირების მიმართ, რომლებიც ბრალდებულები არიან „საზოგადოების დაშინებაში“, რომელიც ისჯება ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთით. აღნიშნულმა ქმედებებმა სამართლიანი შეშფოთება გამოიწვია სიტყვის თავისუფლებისთვის საფრთხეების შექმნის კუთხით, რადგან, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, „კიბერ პატრულირების“ ბუნდოვნად ჩამოყალიბებული და ფართოდ ინტერპრეტირებადი პროტოკოლები გამოყენებული იქნა მთავრობის მიმართ კრიტიკის აღსაკვეთადაც (გვ. 8[83]).

დეზინფორმაციასთან ბრძოლა VS სიტყვის თავისუფლება ევროპის რამდენიმე ქვეყანაში

ბოსნია და ჰერცოგოვინა - 2020 წლის 19 მარტს სერბთა რესპუბლიკის (სერბთა რესპუბლიკა - ერთ-ერთი იმ ორი პოლიტიკური ერთეულიდან, რომელიც წარმოადგენს ქვედა დონის მმართველობას დღევანდელ ბოსნია-ჰერცეგოვინაში. მეორე ერთეულია ბოსნია და ჰერცეგოვინას ფედერაცია) მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომელიც კრძალავს საგანგებო მდგომარეობის დროს ცრუ ამბების გამოქვეყნებით ან გადაცემით "პანიკისა და არეულობის" გამოწვევას. პირები, რომლებიც დადგენილების დარღვევაში იქნებოდნენ ბრალდებულნი, დაჯარიმდებოდნენ 1 000 -დან 3 000 ბოსნიურ მარკამდე (დაახლოებით 500 - 1 500 ევრო). ორგანიზაციებისთვის კი, ჯარიმა 3 000-დან 9 000 მარკამდე (1 500 - 4 500 ევრო) განისაზღვრა[84].

უნგრეთი - 2020 წლის 30 მარტს, ორბანის მთავრობამ წარადგინა "კანონპროექტი კორონავირუსისგან დაცვის შესახებ" იმ დასაბუთებით, რომ მთავრობა თავისუფალი უნდა იყოს და პარლამენტის კონსულტაციის გარეშე იმოქმედოს ვირუსთან ბრძოლის მიზნით. კანონპროტმა შეცვალა საგანგებო მდგომარეობის წესები, რათა მთავრობას მისცემოდა უფლებამოსილება ქვეყანა ემართა ბრძანებულებებით და შეეჩერებინა არსებული რეგულაციები. მოხდა ცვლილება სისხლის სამართლის კანონში და დაწესდა ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ყველასთვის, ვინც მსჯავრდებულია "სიცრუის" ან "დამახინჯებული სიმართლის" გავრცელებაში, პანდემიასთან ბრძოლის მცდელობების შესახებ. უნგრეთის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირმა (HCLU) განაცხადა, რომ ტერმინი "დამახინჯებული" შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ინტერპრეტაციით სასამართლოების მიერ და "შეიძლება გამოყენებულ იქნას თუნდაც მათ წინააღმდეგ, ვინც ეჭვქვეშ აყენებს

[82] Human Rights Watch. 2020. Bolivia: COVID-19 Decree Threatens Free Expression. https://bit.ly/2X9Zc2E
[83] Catharine Christie, Edison Lanza and Michael Camilleri. The Dialogue. 2020. COVID-19 and Freedom of Expression in the Americas. https://bit.ly/38RPMf4
[84] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

ოფიციალური განცხადებების სანდოობას". აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 18 ივნისს, "საფრთხის მდგომარეობის" შეწყვეტასთან ერთად, აღნიშნული რეგულაციის მოქმედება შეჩერდა[85].

რუმინეთი - პრეზიდენტ იოჰანისის მიერ 2020 წლის 16 მარტს გამოქვეყნებული ბრძანებულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, გამოიყენეს ათეულობით ვებ-გვერდზე წვდომის დაბლოკვის მიზნით. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, ბრძანებულება ანიჭებს სპეციალურ უფლებამოსილებას კომუნიკაციების ადმინისტრირებისა და გავრცელების ეროვნულ ორგანოს (ANCOM) დაბლოკოს ნებისმიერი ონლაინ საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც ავრცელებს „ყალბ ამბებს“ კოვიდ-19 -ისა და მისი პრევენციის ღონისძიებების შესახებ“. ცნობილია, რომ ANCOM მოქმედებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის მოთხოვნით, რომელიც შეიქმნა პანდემიასთან გამკლავებისთვის, თუმცა, არ არის ცნობილი დეტალები იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებენ ამა თუ იმ სავრაუდო „ყალბი ამბის“ შინაარსის შესაფასებლად - არც ის არის ცნობილი, არსებობს თუ არა ასეთი კრიტერიუმები საერთოდ. დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ცენტრის (CJI) წარმომადგენლის, კრისტინა ლუპუს განცხადებით, ამ რეგულაციაში ყველაზე შემაშფოთებელი გამჭვირვალობის ნაკლებობა იყო. „საიტებზე წვდომის დაბლოკვა ჰგავს ბირთვულ ღილაკს; თქვენ უნდა დააჭიროთ მას უკიდურესი ყურადღებით და კარგად ახსნათ, თუ როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება“ - განუცხადა ლუპუმ BIRN -ს და გამოთქვა შეშფოთება ინფორმაციის შესაძლო ცენზურის შესახებ. გარდა იმისა, რომ ეჭვქვეშ აყენებენ იმ მეთოდების ლეგიტიმურობას, რომელსაც ხელისუფლება იყენებს ყალბი ახალი ამბების გადაცემის შესაჩერებლად, ჟურნალისტებსა და აქტივისტებს ასევე ეჭვი ეპარებათ ამ მიდგომის ეფექტურობაში. CJI -მა გამოავლინა დეზინფორმაციის ხელშემწყობი არაერთი მასალა და განაცხადა, რომ მათი უმეტესობა არ ვრცელდებოდა ვებ-გვერდების ბმულების სახით, არამედ ისინი ვრცელდებოდნენ შეტყობინებების სახით WhatsApp -სა და სხვა სოციალურ ქსელებში. „ზოგიერთი საიტის დახურვას აქვს მხოლოდ კოსმეტიკური ეფექტი და არ გადაჭრის პრობლემას“ - განაცხადა ლუპუმ[86].

სერბეთი - 2020 წლის 28 მარტის განკარგულება კორონავირუსზე ინფორმაციის გავრცელების ცენტრალიზაციის შესახებ ითვალისწინებდა, რომ კრიზისული შტაბი, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, არის პანდემიის შესახებ ინფორმაციის ერთადერთი წყარო და არასანქცირებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია არ უნდა ჩაითვალოს ზუსტად ან გადამოწმებულად. ბრძანება ასევე ითვალისწინებდა საგანგებო მდგომარეობის დროს დეზინფორმაციის გავრცელების სამართლებრივ შედეგებს. ამ განკარგულების კრიტიკისა და პანდემიის არასასურველი გაშუქების გამო ერთი ჟურნალისტის დაპატიმრების შემდეგ, პრემიერმა 2 აპრილს გამოაცხადა (განკარგულების შემოღებიდან ერთ კვირაზე ნაკლებ დროში) რომ იგი გაუქმდებოდა[87].

---

[85] Akos Keller-Alant. Balkan Insight. 2020. Hungarian Coronavirus Bill Will Have “Chilling Effect” on Media. https://bit.ly/3hjJklo

[86] Marcel Gascon Barbera. Balkan Insight. 2020. Romania’s Drive to Censor “Fake News” Worries Activists. https://bit.ly/3tvWwsv

[87] International Center For Not-For-Profit Law. COVID-19 Civic Freedom Tracker. https://bit.ly/3hib1Lw

15 სექტემბერი 2021

დასკვნა

ჩვენ მიერ მიმოხილულმა მსოფლიოს 40 -ზე მეტი ქვეყნის პრაქტიკამ აჩვენა, თუ რაოდენ დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა სიტყვის თავისუფლება კოვიდ-19 -ის გავრცელების პერიოდში. პანდემიის დაწყებისთანავე, არაერთი ქვეყნის ავტორიტარული მთავრობის, შეიძლება ითქვას, მთავარი საზრუნავი თავისუფალი აზრის ჩახშობა გახდა. „დეზინფორმაციისა“ და „ყალბი ამბების“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მიღებული რეგულაციებით, არადემოკრატიული მთავრობები მაქსიმალურად ეცადნენ დაემალათ ვირუსის წინააღმდეგ მათი რეაგირების სუსტი მხარეები - არათანმიმდევრული და გაუაზრებელი ნაბიჯები, ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო რესურსების ნაკლებობა. გარდა ამისა, ბევრი მთავრობისთვის პანდემია იქცა შესაძლებლობად, მიეღოთ ძალაუფლების განმტკიცებისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებები მაშინ, როცა ლოკალური და საერთაშორისო საზოგადოების მთელი ყურადღება ვირუსზე იყო გადატანილი. როგორც სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლამ აჩვენა, არაერთმა ხელისუფალმა კოვიდ-19 -ის პანდემია და მის ირგვლივ ატეხილი პანიკა თავისუფალი აზრის უფრო მეტად შეზღუდვისთვის გამოიყენა და მიიღო ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც მომავალში, პანდემიის დასრულების შემდეგაც უზრუნველყოფს კრიტიკული ხმების გაჩუმებას.

მიმოხილული ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში „ყალბი ამბების“ (რომელთა დიდი ნაწილი სულაც არ იყო ყალბი, არამედ - უბრალოდ კრიტიკული) კრიმინალიზაცია ინფორმაციის კონტროლის და დამოუკიდებელი წყაროების გასაჩუმებელ იარაღად იქნა გამოყენებული. იყო სულ რამდენიმე ისეთი ქვეყანაც, რომელთა მიზანს, ერთი შეხედვით, არ წარმოადგენდა კრიტიკული მოსაზრებების ჩახშობა, თუმცა, მათ მიერ ნაჩქარევად და ბუნდოვანი ფორმულირებებით მიღებული კანონებიც კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა. ამ ყველაფერმა კი, კიდევ ერთხელ გამოავლინა ის რისკები, რაც სიტყვის თავისუფლების ამა თუ ფორმითა და მიზნით შეზღუდვის მცდელობებს ახლავს თან. მსგავსი რეგულაციები კვლავაც გვახსენებს იმის შესახებ, რომ დეზინფორმაციასთან ხისტი მეთოდებით ბრძოლა უაღრესად სარიკსო საქმეა, რომელიც შეიძლება უშედეგოც აღმოჩნდეს. მეორე მხრივ კი, ყალბი ამბების წინააღმდეგ უფრო საფუძვლიანი და მდგრადი მეთოდი ალტერნატიული, გადამოწმებული ინფორმაციის მუდმივი ტირაჟირება, შესაბამისად დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიები და მოქალაქეთა წიგნიერების ზრდის ხელშეწყობაა.

საბოლოო ჯამში, რა განზრახვითაც არ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, აშკარაა, რომ პანდემიის შესახებ დეზინფორმაციაზე (რომელიც ნამდვილად წარმოადგენს პრობლემას) და ზოგადად, ინფორმაციულ ნაკადზე მთავრობების პასუხმა საფრთხის ქვეშ დააყენა მოქალაქეთა უფლება - გამოეხატათ საკუთარი აზრი შიშის გარეშე. დოკუმენტში განხილული არაერთი ფაქტიდან გამომდინარე, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გატარებულ ასეთ მასშტაბურ ზომებს (თანაც დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში) მარტივად შეგვიძლია ვუწოდოთ „ცენზურის პანდემია“.